



**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**

**I შ ე ს ა ვ ა ლ ი**

16 თებერვალი, 2016 წელი

თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს**  
**ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**თავმჯდომარე - გიორგი გოგიაშვილი**  
**მოსამართლეები - მანანა ჩოხელი**  
**ნინო ქადაგიძე**

**სხდომის მდივანი - ლიანა გელაშვილი**

**აპელანტი - ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში**  
**(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია**  
**წარმომადგენელი - შ--- კ-----ი**

**აპელანტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო**  
**წარმომადგენელი - ი----- ფ-----ი**

**მოწინააღმდეგე მხარე - პ----- ი-----ა**  
**წარმომადგენელი - მ----- ნ-----ე**

**დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა,**  
**ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება**

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ**  
**საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება**

**II ა დ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. აპელანტ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. აპელანტ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

## 2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

### 2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ვ---- ი-----ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 ----ის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ვ---- ი-----ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ი--- ბ----ს ქუჩის მიმდებარედ შ. ნ--- ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე (სხდომის ოქმი №---, საკითხი 32) და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა.

### 2.2. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 24 ივნისის №---- განცხადებით მიმართა ვ--- ი----ამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ი--- ბ--ას ქუჩის მიმდებარედ შ. ნ---ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. განცხადებას თან ერთვოდა: მეზობლების თანხმობა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ფოტოსურათები.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- 2015 წლის 24 ივნისის №---- განცხადება.

ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 ---ის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №---, საკითხი 32) ვ--- ი---ას უარი ეთქვა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე,

ვინაიდან მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის დროებითი შენობა -ნაგებობა, რომელზედაც საკუთრების უფლების აღიარება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეულია სხვის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრებში. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულზე.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 ---ის სხდომის ოქმი №---

ქ. თბილისის არქიტექტურის გენერალური გეგმის მართვის განყოფილების სპეციალისტის 2015 წლის 13 ნოემბრის №---- წერილის თანახმად, ქ. თბილისში ბ--ას ქუჩაზე მდებარე 315 კვ.მ მიწის ნაკვეთი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, მოქცეულია საცხოვრებელ (სზ-6) ზონაში. ტერიტორია მოქცეულია ---- საკადასტრო ერთეულის საზღვრებში. "დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №6-23 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთი მდებარეობს ვაკის რაიონში, ქვეუბანი ნ---ის მიკრორაიონები. განეკუთვნება №-- ქვეზონას, სადაც ნორმატიული ღირებულება შეადგენს 43 ლარს, ხოლო ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს №1-9 გადაწყვეტილებით გადასახადის წლიური განაკვეთი არასასოფლო -სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენს -0,31.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- ქ. თბილისის არქიტექტურის გენერალური გეგმის მართვის განყოფილების სპეციალისტის 2015 წლის 13 ნოემბრის №---- წერილი.

განმცხადებელი ვ--- ი-----ა გარდაიცვალა 2015 წლის 24 ----ს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- გარდაცვალების მოწმობა.

2016 წლის 26 აპრილის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, კ---- ი----ამ, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ (შვილმა), საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით სრულად მიიღო 2015 წლის 24 ---ს გარდაცვლილი მამის - ვ---- ი-----ას სამკვიდრო ქონება, სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივებით და პასივებით.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

-2016 წლის 26 აპრილის სამკვიდრო მოწმობა

ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 16 ---ის №--- დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ----ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ----ის მიმდებარედ, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე აშენებული ნაგებობა კვალიფიცირდება, როგორც შენობა.”

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

-ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 16 ---ის №201--- დასკვნა.

### 2.3. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონშესაბამისობაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემული სარჩელის ფარგლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” საქართველოს კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესზე“, რომელიც არეგულირებს მართლზომიერ

მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარების წესსა და პირობებს, განსაზღვრავს იმ ორგანოს უფლებამოსილებასა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, რომელიც საკუთრების უფლების აღიარების პროცესში წარმოადგენს სახელმწიფოს, აგრეთვე, ამ პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებამოვალეობებს.

სასამართლომ განმარტა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით. კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და ამ კანონით განსაზღვრული წესით.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მიწა არის ფიზიკური პირის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე), რომლის ფართობი ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტიდან თავის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული. ამავე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, შენობა ეს არის სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავად არის დაკავშირებული, ქმნის გადახურულ სივრცეს და შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით, გარდა დროებითი შენობისა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნისათვის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესაბამისად საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემა.

მითითებული კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არის ცნობა-დახასიათება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი;

სასამართლომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე მიუთითა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მოტივით უფლებამოსილ ორგანოს უნდა მიმართოს დაინტერესებულმა პირმა და წარადგინოს მოთხოვნის დასადასტურებლად სათანადო დოკუმენტაცია. განსახილველ შემთხვევაში, ვ---- - ი---- ამ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს №----- განცხადებით მიმართა და მოითხოვა ქ. თბილისში, ი-- ბ----ს ქუჩის მიმდებარედ შ. ნ----ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. განცხადებას თან ერთვის: მეზობლების თანხმობა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ფოტოსურათები.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-51.7 მუხლის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისთვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისიას მინიჭებული აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისიას ავალდებულებს ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს

ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ამავე კოდექსის 97-ე მუხლით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს. აღნიშნული ნორმის განმარტებიდან ჩანს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს, სწორად შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი.

საქმეში არსებული მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

სასამართლომ ზემოთმითითებული სამართლებრივი ნორმის ანალიზიდან გამომდინარე განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას. კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 ---ის გადაწყვეტილებით

(სხდომის ოქმი №---, საკითხი 32) ვ----- ი----ას უარი ეთქვა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის დროებითი შენობა-ნაგებობა, რომელზედაც საკუთრების უფლების აღიარება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეულია სხვის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრებში. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულზე. სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვ----- ი-----ას მიერ საკუთრების უფლების აღიარება მოთხოვნილი იყო თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. სწორედ აღნიშნულია გათვალისწინებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით. ასევე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ არ არის შეფასებული სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის საკითხი. საქმეში წარმოდგენილია ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 16 მარტის №--- დასკვნა, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ნ---ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე აშენებული ნაგებობა კვალიფიცირდება, როგორც შენობა.”

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რითაც თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის მოთხოვნები, მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრული გამოკვლევის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა გასაჩივრებული აქტით მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა იმისთვის, რომ შემოწმდეს შეზღუდვის კანონიერება, იგი უნდა იყოს დასაბუთებული და კანონშესაბამისი. დასაბუთების ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს ასევე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტის კანონიერების შემოწმებისას, ვინაიდან დასაბუთება იძლევა ამ აქტში გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს შემზღუდველი ხასიათის გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმების საფუძველს. ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სწორედ შეფასებულ კონკრეტულ ფაქტებსა და საქმის გარემოებებს, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმათა დანაწესიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. იგი გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს სადავო ნაწილში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში

(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 ---ის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმი №---, საკითხი 32) კანონიერება;

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების გარეშე სასამართლო უფლებამოსილია, სადაო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და სათანადო შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 -----ის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც რომლითაც ვ----- ი-----ას უარი ეთქვა ქ. თბილისში, ი--- ბ---ას ქუჩის მიმდებარედ შ. ნ-----ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე (სხდომის ოქმი №---, საკითხი 32) და მოპასუხეს უნდა დაევალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა.

### **3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:**

#### **3.1. აპელანტ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:**

სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ:

საქალაქო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას არ დაურღვევია კანონის არცერთი მოთხოვნა. სრულად შეისწავლა საკითხი და შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილებაც. 2015 წლის 24 ივნისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას N----- განცხადებით

მომართა ვ--- ი-----ამ, რომელმაც მოითხოვა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, საკადასტრო აზომვითი ნახაზის თანახმად მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენდა 315 კ.მ.-ს. 2015 წლის 22 -----ს N--- ოქმით (საკითხი 32) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ განიხილა ვ----- ი-----ას განცხადება ( ქ. თბილისი, ე---- ბ-----ას ქუჩის მიმდებარედ), მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან საკუთრების უფლების აღიარება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას კერძოდ: მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია დროებითი ნაგებობა.

აპელანტი მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტზე, რომლის თანახმად შენობა არის – სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავად არის დაკავშირებული, ქმნის გადახურულ სივრცეს და შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომხლუდავი კონსტრუქციებით, გარდა დროებითი შენობისა; ხოლო ამავე მუხლის „ზ“ პუნქტით განმარტებულია დროებითი შენობა. დროებითი შენობა არის – ანაკრები ელემენტებისაგან შედგენილი, ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები. მხარის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალიდან გარკვევით იკვეთება, რომ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია დროებითი ნაგებობა, ფოტო მასალიდან ასევე დგინდება ის, რომ კონკრეტული მიწის ნაკვეთი არის მოუვლელი. გარდა ამისა ტერიტორია სრულად არის მოქცეული საკადასტრო ერთეულში.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ შეაფასა და არ გაითვალისწინა სხვა ფაქტობრივი გარემოებებიც კერძოდ: ადმინისტრაციული აქტის ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს და არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რასაც კომისიის აზრით ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ სრულიად არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად „თვითნებურად დაკავებული მიწა–ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლობაში მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის

ფართობით ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების აღიარების მოთხოვნის მომენტიდან დასაწყისიდან მიერ არ არის განკარგული, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მეორე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია დოკუმენტები, რომლითაც განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტი. ასეთ დოკუმენტებს წარმოადგენს ცნობა-დახასიათება უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტები, რომლითაც განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტი. ასევე არ შეაფასა და გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადების განხილვის მომენტში დაცული იყო ადმინისტრაციული წარმოების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში 2015 წლის 24 ივნისის N---- -ის განცხადების განხილვისას, განცხადება გადაეგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს დასკვნის წარმოსადგენად, დაინტერესებული მხარე მოწვეული იქნა ზეპირი მოსმენის სხდომაზე, სადაც მას მიეცა საშუალება დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება და დაედასტურებინა ფლობა-სარგებლობა. ასევე კომისიის მხრიდან შესწავლილი და განხილული იქნა საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება და თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მივიდა დასკვნამდე,

აპელანტის მოსაზრებით, არ არსებობს აქტის ბათილობის საფუძვლები იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა თუ რატომ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილება და კონკრეტულად რა გარემოება არ იქნა გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გამოკვლევის და დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სხვა გადაწყვეტილების მიღება.

აპელანტის მოსაზრებით, გადაწყვეტილება ფაქტობრივი გარემოებების უგულვებელყოფის გზით იქნა მიღებული. სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევა, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია.

### **3.2. აპელანტ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:**

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 ----ის გადაწყვეტილებით (ოქმი N-- -) ვ---- ი----ას მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა ორი მოტივით: 1. მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ხის დროებითი შენობა-ნაგებობა და 2. მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრებში. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უარის მეორე მოტივთან დაკავშირებით სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ განმარტებით, რომ „ განსახილველ შემთხვევაში, ვ---- ი----ას მიერ საკუთრების უფლების აღიარება მოთხოვნილი იყო თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. სწორედ აღნიშნულია გათვალისწინებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით.“ აღიარების კომისიის უარის ამ ნაწილში სხვა სახის დასაბუთებული განმარტება/მსჯელობა სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ განუვითარებია და მან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, დაუსაბუთებლად გაავრცელა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ არც კანონის მიზნებში და არც შემდგომ სხვა მუხლებში არ არის ნახსენები, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება თვითმმართველი ერთეული საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და კანონში არის იმპერატიული დათქმა საკუთრების უფლების აღიარებას დაქვემდებარებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის“ შესახებ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ საწინააღმდეგო მიუთითა. აღნიშნული კანონის თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე გავრცელების პრეცედენტი გვხვდება სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებშიც, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში (ან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის N525-ე ბრძანებულების მე-3 მუხლში) ამომწურავადაა მითითებული მიწის ნაკვეთების ის კატეგორიები, რომლებიც საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება და ამ ნორმით არ არის აკრძალული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზეც.

სააგენტოს მოსაზრებით კანონის ასეთი განმარტება დაუშვებელია, ვინაიდან იგი არ შეესაბამება კანონმდებლისა და კანონის ნებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბს-348-345(კ-11) მიუთითა, რომ „კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა

გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს - ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს - გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა.“ სამართლის ნორმის განმარტებისას მოსამართლე შებოჭილია როგორც პროცედურული (საპროცესო სამართლის პრინციპი) ისე მატერიალურ-სამართლებრივი შეზღუდვებით (გონივრული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება), ამდენად სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის განმარტება - ეს უნდა იყოს სამართლის პროფესიონალური, კომპეტენტური და ოპერატიული განმარტება, რომელიც ხორციელდება მატერიალური და საპროცესო ნორმების საფუძველზე იურიდიული ტექნიკის სპეციალურ საშუალებათა გამოყენებით.

სამართლის თეორიაში მიღებულია სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების სხვადასხვა სახე: გრამატიკული, ლოგიკური, ტელეოლოგიური, სისტემური, ისტორიული და ა.შ.

გრამატიკული თვალსაზრისით, საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საკმაოდ ნათელია, მასში არ არის ბუნდოვანი ტექსტები ამ კანონის მოქმედების გავრცელების არელების შესახებ და კანონი ცალსახად და არაორაზროვნად განსაზღვრავს, რომ ამ კანონის შესაბამისად საკუთრების უფლება შეიძლება აღიარებულ იქნეს მხოლოდ „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე“.

მოცემული კანონი მარტივად განმარტება ტელეოლოგიური განმარტების გამოყენებითაც, ვინაიდან კანონისა და კანონმდებლის მიზანი პირველივე მუხლში მკაფიოდაა მოცემული, კერძოდ „ამ კანონის მიზანია მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით (შემდგომში - საკუთრების უფლების აღიარება) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.“

აპელანტი მოცემული კანონის და კანონმდებლის ნების განმარტებისას მიმოიხილავს სამართალშემოქმედების იმ ისტორიულ და სისტემურ წინაპირობებსაც, რომელსაც კანონის მიღების დროს ჰქონდა ადგილი.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი

მიღებულ იქნა 2007 წლის 11 ივლისს. 2007 წლის 11 ივლისამდე პერიოდში საქართველოში მოქმედებდა კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“, ამავე პერიოდში მოქმედებდა საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“. 2007 წლის 11 ივლისს მიღებული იქნა ასევე მეორე კანონიც (N5295) „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლის პირველი მუხლის შესაბამისად „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის სათაური შეიცვალა და კანონის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“. ვინაიდან ზემოაღნიშნული ორი კანონის მიღება ფაქტობრივად ერთდროულად მოხდა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში არ იქნა გათვალისწინებული ამ კანონის მოქმედების გავრცელება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე“ (ამ ტერმინის არსებობის პირობებში), ბუნებრივია რომ კანონმდებლის მიზანს კანონის მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელება წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა ხარვეზს კანონმდებლობაში, არამედ კანონმდებლის ნებას - კვალიფიციურ „დუმის“, არ გაეგრძელებინა კანონის მოქმედება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. მით უმეტეს, რომ 2007 წლის შემდგომ პერიოდში საკუთრების უფლების აღიარების შესახებ კანონში შევიდა დაახლოებით 20-მდე ცვლილება, თუმცა არც ერთ შემთხვევაში კანონმდებელს აღნიშნული „ხარვეზი“ არ შეუსწორებია.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის სისტემური განმარტებისას ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში განმარტებულია, რომ „კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებზე“, მაშინ როდესაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ მსგავსი დათქმა არ არსებობს. შესაბამისად, კანონმდებელი, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებისგან განსხვავებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ გამონაკლისის სახით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის განსხვავებულ წესს არ ადგენს.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის სისტემური განმარტებისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონის

რეგულირების სფეროა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსახორციელებელი საჯაროსამართლებრივი ურთიერთობები. ადმინისტრაციული ორგანო მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია ნების გამოვლენის თვალსაზრისით, მისი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან. შესაბამისად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობისგან განსხვავებით „ის რაც აკრძალული არ არის კანონით, დასაშვებია“ მიდგომა საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში არ გამოიყენება. მსგავსი შინაარსის დათქმაა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში, სადაც იმპერატიულადაა განსაზღვრული, რომ „საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“. აქედან გამომდინარე ლოგიკა - ვინაიდან კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი არ კრძალავს, კანონი ვრცელდება თვითმმართველი ერთეულის ქონებაზეც, საფუძველს არის მოკლებული. კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე არ კრძალავს ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვასაც, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ასეთ მიწის ნაკვეთებზე შეუძლია საკუთრების უფლების აღიარება. კანონის ამ მუხლში არსებითი მნიშვნელობა აქვს ფრაზას „სახელმწიფოს საკუთრება“ რაც უკვე ავტომატურად გამორიცხავს როგორც თვითმმართველი ერთეულის, ასევე სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარებას და ნორმაში ამ აკრძალვის დამატებით ასახვა აბსოლუტურად ალოგიკურია და დატვირთავს მას.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიაჩნია, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელებით ადგილი აქვს კანონის არასწორ განმარტებას, რის გამოც გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### III სამოტივაციო ნაწილი:

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს;

#### 4.1. ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1. სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, პაატა იოსავას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მიუთითებს მათზე და აღნიშნავს შემდეგს:

ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას 2015 წლის 24 ივნისის №----- განცხადებით მიმართა ვ--- ი---ამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ი---- ბ-----ას ქუჩის მიმდებარედ შ. ნ-----ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. განცხადებას თან ერთვის: მეზობლების თანხმობა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ფოტოსურათები.

ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 -----ის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №---, საკითხი 32) ვ--- ი-----ას უარი ეთქვა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის დროებითი შენობა - ნაგებობა, რომელზედაც საკუთრების უფლების აღიარება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეულია სხვის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრებში. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულზე.

ქ. თბილისის არქიტექტურის გენერალური გეგმის მართვის განყოფილების სპეციალისტის 2015 წლის 13 ნოემბრის №---- წერილის თანახმად, ქ. თბილისში ბ---ს ქუჩაზე მდებარე 315 კვ.მ მიწის ნაკვეთი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, მოქცეულია საცხოვრებელ (სზ-6) ზონაში. ტერიტორია მოქცეულია ----- საკადასტრო ერთეულის საზღვრებში. "დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №6-23

დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთი მდებარეობს ვაკის რაიონში, ქვეუბანი 5----ის მიკრორაიონები. განეკუთვნება №-- ქვეზონას, სადაც ნორმატიული ღირებულება შეადგენს 43 ლარს, ხოლო ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს №1-9 გადაწყვეტილებით გადასახადის წლიური განაკვეთი არასასოფლო -სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენს -0,31.

განმცხადებელი ვ--- ი----- ა გარდაიცვალა 2015 წლის ----ს. 2016 წლის 26 აპრილის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, პ---- ი-----ამ, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ (შვილმა), საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით სრულად მიიღო 2015 წლის -----ს გარდაცვლილი მამის - ვ----- ი-----ას სამკვიდრო ქონება, სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივებით და პასივებით.

ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 16 მარტის №--- დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ნ---ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე აშენებული ნაგებობა კვალიფიცირდება, როგორც შენობა.”

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ” პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონშესაბამისობაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემული სარჩელის ფარგლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის

იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესზე“, რომელიც არეგულირებს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარების წესსა და პირობებს, განსაზღვრავს იმ ორგანოს უფლებამოსილებასა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, რომელიც საკუთრების უფლების აღიარების პროცესში წარმოადგენს სახელმწიფოს, აგრეთვე, ამ პროცესში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

სასამართლომ განმარტა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით. კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და ამ კანონით განსაზღვრული წესით.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მიწა არის ფიზიკური პირის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე), რომლის ფართობი ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული. ამავე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, შენობა ეს არის სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავად არის დაკავშირებული, ქმნის გადახურულ სივრცეს და შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით, გარდა დროებითი შენობისა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნისათვის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო

სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესაბამისად საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემა.

მითითებული კანონის 51 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად.

განსახილველ შემთხვევაში, ვ---- ი-----ამ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს №----- განცხადებით მიმართა და მოითხოვა ქ. თბილისში, ი--- ბ-----ას ქუჩის მიმდებარედ შ. ნ-----ის ფერდ. 1 მკრ, კორპ ---ის მიმდებარედ, 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. განცხადებას თან ერთვის: მეზობლების თანხმობა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ფოტოსურათები.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-51.7 მუხლის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისთვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 22 -----ის გადაწყვეტილებით (ოქმი N-- -) ვ--- ი-----ას მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა ორი მოტივით: 1. მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ხის დროებითი შენობა-ნაგებობა და 2. მიწის ნაკვეთი საზღვრებში. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უარის მეორე მოტივთან დაკავშირებით სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ განმარტებით, რომ „ განსახილველ შემთხვევაში, ვ----- ი-----ას მიერ საკუთრების უფლების აღიარება მოთხოვნილი იყო თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. სწორედ აღნიშნულია გათვალისწინებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით.“ აღიარების კომისიის უარის ამ ნაწილში სხვა სახის დასაბუთებული განმარტება/მსჯელობა სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ განუვითარებია და მან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, დაუსაბუთებლად გაავრცელა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე

საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ არც კანონის მიზნებში და არც შემდგომ სხვა მუხლებში არ არის ნახსენები, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება თვითმმართველი ერთეული საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და კანონში არის იმპერატიული დათქმა საკუთრების უფლების აღიარებას დაქვემდებარებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის“ შესახებ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ საწინააღმდეგო მიუთითა.

სააპელაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო საჩივრის მითითებულ არგუმენტაციას და აღნიშნავს რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის თანახმად (სტრასბურგი, 15.X.1985. საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2005 წლის 1 აპრილიდან, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის N 515 – II ს დადგენილებით), ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეშ იგულისხმება ადგილობრივი ორგანოების უფლება და შესაძლებლობა კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად (მუხლი 3 –1). თვითმმართველობის პირობებში ადგილობრივ გაერთიანებებს გააჩნიათ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი, ისინი არ არიან სახელმწიფო მმართველობის ნაწილი და არ უნდა განვიხილოთ, როგორც ასეთი, სახელმწიფო ადმინისტრაციის დაბოლოებანი. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ნიშანია ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, კერძოდ, კონსტიტუციის მე-2 მუხლი აღიარებს მოსახლეობის უფლებას თვითონ, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ორგანული კანონის მიღებას, რომლითაც განისაზღვრება თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა.

სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>2</sup> მუხლის ჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებანი დგინდება ორგანული კანონით.

101<sup>2</sup> მუხლის 2-ე პუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებანი ექსკლუზიურია. კონსტიტუციის 101<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები.

სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ორგანულ კანონზე - ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერზე, რომლითაც თანახმადაც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია:

- ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები;
  - ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები;
- მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. 15-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება.

სააკველიანო პალატა აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების ანალიზზე დაყრდნობით აღნიშნავს რომ, დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობის არსებითი კომპონენტია ასევე, მათი საკუთარი ქონების, ცენტრალური ბიუჯეტისაგან დამოუკიდებელი საბიუჯეტო სისტემებისა და საბიუჯეტო წყაროების არსებობა.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრულია ამ კანონის მიზანი: ამ კანონის მიზანია მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარება. ამ კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის საკუთრების უფლების აღიარება არის ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესაბამისად საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემა.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. სახელმწიფო ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, წარმოადგენს სახელმწიფო ქონების განკარგვას, რის შემდეგაც, იგი

ადარ ექვევა სახელმწიფო ქონების შესახებ, საქართველოს კანონის მე-2 მუხლი  
განსაზღვრულ სახელმწიფო ქონების დეფინიციაში.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისია. ამავე კანონის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიის უფლებამოსილება არის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილება, რაც სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ მოიცავს სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებასთან ერთად, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთების აღიარებასაც.

სააპელაციო პალატა დამატებით მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის მეორე მუხლის „ა“ პუნქტზე (ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2016 წლის 31 ივლისიდან), რომლის თანახმადაც, ამ წესში გამოყენებული ტერმინს მიწის ნაკვეთი გააჩნდა შემდეგი მნიშვნელობა: სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან/და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს რომ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან/და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. იმის გათვალისწინებით რომ, ვ---- ი-----ას მიერ საკუთრების უფლების აღიარება მოთხოვნილი იყო თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. სააპელაციო პალატას მიაჩნია რომ, პირველი ინსტანციის სასამართლომ მასზე უკანონოდ გაავრცელა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

## 5. საპროცესო ხარჯები:

5.1. ვ---- ი-----ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 150 ლარის ანაზღაურება.

**IV სარეზოლუციო ნაწილი:**

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე მუხლებით

**სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :**

1. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. პ----- ი-----ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს,
4. პ----- ი-----ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 150 ლარის ანაზღაურება.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21(ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე:

გიორგი გოგიაშვილი

მოსამართლეები:

ნინო ქადაგიძე

მანანა ჩოხელი

საქმე № 330310017001903404

საქმე №33/366-18



## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

შ ე ს ა ვ ა ლ ი ნ ა წ ი ლ ი

21 მარტი, 2019 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე (მომხსენებელი მოსამართლე)- გიორგი გოგიაშვილი  
მოსამართლეები - შოთა გეწაძე, ილონა თოდუა  
სხდომის მდივანი - დიანა გოხაძე

აპელანტი (მოპასუხე) – სსიპ შემოსავლების სამსახური

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) – შპს „ბ-----ი“  
წარმომადგენლები - გ-----ი და კ-----ი

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება;

### 1. სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 06 აპრილის №9--- ბრძანება და დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

## 2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა სარჩელს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

## 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები:

### 3.1 გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

შპს „ბ-----ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 06 აპრილის №9--- ბრძანება და დაევალა სსიპ შემოსავლების სამსახურს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის თაობაზე.

### 3.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები:

3.2.1 სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 4 ნოემბრის №2----- შეტყობინებით შპს „ბ-----ს“ გასაცნობად გაეგზავნა საწარმოს 2016 წლის 3-----ის საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტი. შეტყობინებით კომპანიას განემარტა, რომ უფლება აქვს საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის მიღებიდან 10 დღის ვადაში აუდიტის დეპარტამენტში წარადგინოს არგუმენტირებული პოზიცია საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება საწარმოს ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით ( ტ.1, ს.ფ. 13)

შეტყობინებაში დამატებით აღნიშნულია, რომ პროექტთან დაკავშირებით პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაშიც, საწარმო უფლებამოსილი რჩება, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით გაასაჩივროს საგადასახადო შემოწმების აქტი, მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან (ბრძანებასთან) და ამ დოკუმენტის საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად, საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში.

3.2.2 2016 წლის 17 ნოემბერს შპს „ბ-----ის“ წარმომადგენელმა კ-----მა საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს 2016 წლის 3-----ის საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტთან დაკავშირებით ( ტ.1, ს.ფ. 14-17)

3.2.3 დადგენილია, რომ შპს „ბ-----ის“ 2016 წლის 17 ნოემბრის წერილობითი პოზიცია განხილულ იქნა აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს 2016 წლის

18 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №1), გადასახადის გადამხდელის მიწვევის გარეშე (ტ.1, ს.ფ. 81-83)

**3.2.4** დადგენილია, რომ შპს „ბ-----ის“ მიმართ 2016 წლის 2-----ს გამოცემულია სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო შემოწმების აქტი ( ტ.1, ს.ფ. 27-54).

საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გამოიცა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 2-----ის №3---- ბრძანება და შპს „ბ-----ს“ წარედგინა 2016 წლის 2-----ის №1---- საგადასახადო მოთხოვნა. შედეგად, კომპანიას გადასახდელად დაერიცხა სულ 1 080 033,24 ლარი (ტ.1, ს.ფ. 86-88)

**3.2.5** 2017 წლის 6 თებერვალს შპს „ბ-----ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს და განმარტა, რომ 2016 წლის 8 ნოემბერს ტელეფონით დაუკავშირდნენ აუდიტის დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომელთაც აცნობეს, რომ ელექტრონულად გაეგზავნა აუდიტის დეპარტამენტის №2----- შეტყობინება საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტზე და გასცნობოდა მას. 2016 წლის 17 ნოემბერს საწარმოს წარმომადგენელმა კ-----მა საჩივრით მიმართა აუდიტის დეპარტამენტს და წარადგინა კომპანიის პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის შეტანიდან გასულია 3 თვე, საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიზნით საწარმო არ გამოუძახებიათ და შპს „ბ-----ისთვის“ ცნობილი არ არის მიღებულია თუ არა რაიმე გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (ს.ფ. 18).

წერილით მოთხოვნილი იქნა ინფორმაციის მიწოდება სადავო საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ამასთან, მოთხოვნილ იქნა მიღებული გადაწყვეტილების, ასეთის არსებობისას, ფოსტის მეშვეობით გაგზავნა, არასასურველი შედეგის არსებობისას მისი გასაჩივრების უფლების გამოყენების მიზნით.

**3.2.6** სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2017 წლის 8 თებერვლის №2----- მიმართვით შპს „ბ-----ს“ 2017 წლის 6 თებერვლის განცხადების პასუხად გაეგზავნა საწარმოს შესახებ ინფორმაცია და ეცნობა, რომ საწარმოს 2016 წლის 17 ნოემბრის წერილობითი პოზიცია განხილულია აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №1), რის შედეგადაც კომპანიის მიმართ შედგა 2016 წლის 2-----ის აქტი, აქტის საფუძველზე გამოიცა 2016 წლის 2-----ის №3---- ბრძანება და №1---- საგადასახადო მოთხოვნ ( ტ.1, ს.ფ. 19)

მიმართვაში განმარტებულია, რომ 2016 წლის 2-----ის საგადასახადო შემოწმების აქტს, №3---- ბრძანებასა და №1---- საგადასახადო მოთხოვნას გადამხდელი გაეცნო ელექტრონულად შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.rs.ge)

საშუალებით 2016 წლის 28 ნოემბერს.

**3.2.7** დადგენილია, რომ 2017 წლის 10 მარტს შპს „ბ-----მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 2-----ის საგადასახადო შემოწმების აქტის, 2016 წლის 2-----ის №3---- ბრძანებისა და №1---- საგადასახადო მოთხოვნის, შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 22 ნოემბრის N1----- შეტყობინებისა და 2017 წლის 22 თებერვლის №0----- ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 მარტის განჩინებით (საქმე №3/1772-17) სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. მათ შორის, მხარეს განემარტა, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ, თუმცა სასამართლოში არ არის წარდგენილი გასაჩივრებული აქტების ერთჯერადად ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების დამადასტურებელი მტკიცებულება ( ტ.1, ს.ფ. 99-101)

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 აპრილის განჩინებით (საქმე №3/1772-17) შპს „ბ-----ს“ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ( ტ.1, ს.ფ. 103-105)

**3.2.8** 2017 წლის 29 მარტს შპს „ბ-----მა“ საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომლითაც არ დაეთანხმა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 2-----ის საგადასახადო შემოწმების აქტს, №3---- ბრძანებასა და №1--- საგადასახადო მოთხოვნას. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 6 აპრილის №9--- ბრძანებით, საჩივარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დარჩა განუხილველი, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო ( ტ.1, ს.ფ. 106-107)

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სადავო აქტებს გადამხდელი ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გაეცნო 2016 წლის 28 ნოემბერს, ხოლო საჩივარი წარდგენილია 2017 წლის 29 მარტს.

**3.2.9** 2016 წლის 28 ნოემბერს შპს „ბ-----ის“ ავტორიზებულ გვერდთან აუტენტიფიკაცია განხორციელდა IP-მისამართით - 8-----. აღნიშნული მისამართის გამოყენებით საწარმოს მიერ სისტემასთან აუტენტიფიკაცია განხორციელებულია ასევე 2016 წლის 1 და 15 ნოემბერს ( ტ.1, ს.ფ. 231-236)

**3.2.10** 2017 წლის 17 თებერვალს შპს „ბ-----ის“ დირექტორმა კ---- ს-----მა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ პროკურორს და განმარტა, რომ იგი არ გასცნობია საგადასახადო შემოწმების აქტსა და საგადასახადო მოთხოვნას.

დაუდგენელმა პირმა უკანონოდ შეაღწია შემოსავლების სამსახურის სისტემაში და მის ნაცვლად გაეცნო საგადასახადო შემოწმების აქტს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2017 წლის 23 ივნისის №1----- წერილის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №0----- საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ( ტ.1, ს.ფ.237-239).

მიმართვის მიხედვით, დაწყებული გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ 2015 წლის 3 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე დროის პერიოდში შპს „ბ-----ი“ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე IP-მისამართიდან - 8----- შევიდა ასზე მეტჯერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაციით დადგენილია, რომ შპს „რკ-----ის“ ქსელში არსებული IP-მისამართი - 8----- ეკუთვნის გორის რაიონში რეგისტრირებულ შპს „გ-----ს“. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 2 მაისის განჩინებით შპს „გ-----ისაგან“ გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ აღნიშნული IP-მისამართით სხვა მომხმარებლებთან ერთად, ასევე, სარგებლობს შპს „ბ-----ის“ დამფუძნებელი ი---- ს----ი, რომელმაც მითითებული IP-მისამართით მომსახურებისათვის 2015 წლის სექტემბრიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით შპს „გ-----ს“ 20-ჯერ გადაუხადა მომსახურების ღირებულება. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებით არ დადასტურდა კ---- ს----ის 2017 წლის 16 თებერვლის განცხადებაში მითითებული გარემოებანი, 2016 წლის 28 ნოემბერს დაუდგენელი პირის მიერ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე უკანონოდ შეღწევის, შპს „ბ-----ის“ საგადასახადო შემოწმების აქტის, შესაბამისი ბრძანებისა და საგადასახადო მოთხოვნის გაცნობის ფაქტი.

**3.2.11** საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისადმი შპს „გ-----ის“ 2017 წლის 4 მაისის მიმართვის თანახმად, შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულად რომელმა აბონენტმა რომელი ინტერნეტ-სერვისით ისარგებლა, ვინაიდან, დაახლოებით, 800 აბონენტი იყენებს IP-მისამართს - 8----- (ტ.1, ს.ფ. 267).

**3.2.12.** დადგენილია, რომ შპს „ბ-----ის“ გვერდზე 2016 წლის 28 ნოემბერს გახსნილია საგადასახადო შემოწმების აქტი, საგადასახადო მოთხოვნა, დარიცხვის ბრძანება და გირავნობის შესახებ ბრძანება შემდეგი დროითი ინტერვალით: 12:20:58, 12:21:03, 12:21:05, 12:21:07). (ტ.1, ს.ფ. 294).

**4. დადგენილი ფაქტები პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად შემდეგნაირად შეაფასა:**

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს პირისთვის მიღებული გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობა, რაც შეიძლება გამოიხატოს გადამხდელისთვის გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით გაგზავნასა ან ელექტრონული ფორმით წარდგენაში. ამასთან, რომელი ფორმით მოხდება გადასახადის გადამხდელისთვის გადაწყვეტილების გაგზავნა დამოკიდებულია თავად საგადასახადო ორგანოს არჩევანზე. კანონით განსაზღვრულია მხოლოდ ჩაუბარებლობისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებისთვის საჯარო შეტყობინების გამოყენების წესი, ხოლო პირველად გაგზავნისას ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო. კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ბ-----ს“ საგადასახადო შემოწმების აქტი, დარიცხვის ბრძანება და საგადასახადო მოთხოვნა გაეგზავნა ელექტრონულად. ამრიგად, სსიპ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იყო, წარედგინა საწარმოსთვის ბრძანება ელექტრონული ფორმით, რაც გამოიხატება მისი ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებაში. ამასთან, ელექტრონული ფორმით გაგზავნილი გზავნილი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე. ვინაიდან შეტყობინების ადრესატს, განსახილველ შემთხვევაში, წარმოადგენდა შპს „ბ-----ი“, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ სწორედ საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენელი გაეცნო აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 2-----ის საგადასახადო შემოწმების აქტს, 2016 წლის 2-----ის №3---- ბრძანებასა და №1----- საგადასახადო მოთხოვნას, რადგან, მართალია, დასტურდება აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომხმარებლის გვერდზე გახსნა, მაგრამ მოსარჩელე აპელირებს დაუდგენელი პირის მიერ მის ვებგვერდზე უკანონო შეღწევის თაობაზე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მომხმარებლის გვერდზე შესვლა შესაძლებელია ნებისმიერი კომპიუტერისა თუ ტელეფონის მეშვეობით, რომელთაც, შესაძლებელია, სხვადასხვა IP მისამართი გააჩნდეს. ამდენად, მომხმარებლის გვერდზე შესვლა არ არის დამოკიდებული IP მისამართზე, რომელიც სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენებისას სხვადასხვა შეიძლება იყოს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლის გვერდზე შესასვლელად საჭიროა შესაბამისი პაროლის შეყვანა, რომელიც მხოლოდ გადასახადის გადამხდელისთვის არის ცნობილი და სწორედ ამ უკანასკნელის ნებაზეა დამოკიდებული, გააცნობს თუ არა სხვა პირებს ამ პაროლს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირი კანონიერად ვერ შეძლებს გადასახადის გადამხდელის გვერდზე შესვლას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან აქტის გაგზავნა არ წარმოადგენს მისი ოფიციალურად გაცნობის ეტაპის საბოლოო საფეხურს, არამედ აუცილებელია შეტყობინების ადრესატის მიერ მისი მიღების ფაქტის დადასტურება, შემოსავლების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომ ადრესატს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარდა გზავნილი, ხოლო

საწინააღმდეგო ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მართალია, დასტურდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისად გაგზავნა, თუმცა მათი ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი სადავოა. კერძოდ, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2017 წლის 23 ივნისის №1----- წერილის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამომიებო მოქმედებით არ დადასტურდა კ---- ს-----ის 2017 წლის 16 თებერვლის განცხადებაში მითითებული გარემოებანი, 2016 წლის 28 ნოემბერს დაუდგენელი პირის მიერ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე უკანონოდ შეღწევის, შპს „ბ-----ის“ საგადასახადო შემოწმების აქტის, შესაბამისი ბრძანებისა და საგადასახადო მოთხოვნის გაცნობის ფაქტი. ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილისადმი შპს „გ-----ის“ 2017 წლის 4 მაისის მიმართვის თანახმად, შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულად რომელმა აბონენტმა რომელი ინტერნეტ-სერვისით ისარგებლა, ვინაიდან, დაახლოებით, 800 აბონენტი იყენებს IP-მისამართს - 8-----.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ დასტურდება ვებგვერდზე უკანონო შეღწევის ფაქტი, თუმცა ვერ დგინდება უშუალოდ შპს „ბ-----ის“ მიერ მოხდა თუ არა სადავო აქტების გაცნობა და მოსარჩელე მოკლებულია აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას, დაუშვებელია, რომ მოსარჩელის უფლებები და კანონით დაცული ინტერესი სრულად და ავტომატურად იქნას უფლებელყოფილი. მნიშვნელოვანია შეფასდეს ის გარემოება, თუნდაც საწარმოს უფლებამოსილი პირის მიერ პაროლის სხვა პირისათვის გამჟღავნებისას, რამდენად წარმოადგენს აღნიშნული აქტის ჩაბარებას, თუკი გზავნილს გაეცნო ის პირი, რომელსაც გასაჩივრების უფლება არ გააჩნდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პროკურატურის წერილში საუბარია გამოყენებული IP-მისამართით საწარმოს დამფუძნებლის მიერ სარგებლობაზე, თუმცა კომპანიის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის და საწარმოს წარადგენს დირექტორი.

სასამართლომ განმარტა, რომ ცალსახად არ დასტურდება შპს „ბ-----ის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაცნობის ფაქტი. ვინაიდან ვებგვერდზე არც უკანონო შეღწევის ფაქტია კანონით დადგენილი წესით დადასტურებული, დაუშვებელია, რომ ეჭვი გადაწყდეს პირის საწინააღმდეგოდ. მით უფრო, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოების გონივრულობასა და რეალურობაზე დამატებით მიუთითებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ვებგვერდზე გახსნას შორის დროითი ინტერვალი, რადგან დარიცხვის ოდენობიდან და საწარმოს დაინტერესებულებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მის მიერ აღნიშნული

აქტები გახსნილიყო რამდენიმე წამის განმავლობაში, მათი თუნდაც ზოგადი გაცნობის, წაკითხვის ან ამობეჭდვის მცდელობის გარეშე.

საქალაქო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საგადასახადო შემოწმების აქტის გამოცემამდე სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 4 ნოემბრის №2----- შეტყობინებით შპს „ბუთხაზა-გაზს“ გასაცნობად გაეგზავნა საწარმოს 2016 წლის 3-----ის საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტი, განესაზღვრა ვადა წერილობითი პოზიციის წარსადგენად და განემარტა, რომ იგი განიხილებოდა საწარმოს ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით. მიუხედავად ამისა, შპს „ბ-----ის“ 2016 წლის 17 ნოემბრის წერილობითი პოზიცია განხილულ იქნა აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №1), გადასახადის გადამხდელის მიწვევის გარეშე. სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა არ ავალდებულებდა საგადასახადო ორგანოს, წერილობითი პოზიცია გადამხდელის მონაწილეობით განეხილა, თუმცადა საგადასახადო ორგანოს განმარტებისვე შედეგად, გადასახადის გადამხდელს გააჩნდა მოლოდინი განხილვაზე დაბარებისა, რასაც, შესაძლებელია გამოეწვია მისი შეცდომაში შეყვანა, ვინაიდან არ გააჩნდა ინფორმაცია შემოწმების დასრულების შესახებ და შესაბამისად, არ გააჩნდა საგადასახადო შემოწმების აქტის, დარიცხვის ბრძანებისა და საგადასახადო მოთხოვნის მიღების მოლოდინი, რაც გამოიწვევდა მის მიერ მომხმარებლის პორტალის უფრო დეტალურ კონტროლს.

#### **6. სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო მოთხოვნა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **6.1. სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:**

სააპელაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადამხდელის ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გადასახადის დარიცხვის შესახებ აქტებს არ გაცნობია საწარმოს დირექტორი და სახეზეა დაუდგენელი პირის მიერ ელექტრონულ ბაზაში შეღწევის ფაქტი.

აპელანტი არ ეთანხმება სასამართლოს იმ განმარტებას, რომ შემოსავლების სამსახურის ვალდებულებას წარმოადგენს, ამტკიცოს ის გარემოება, თუ ვინ შევიდა გადამხდელის გვერდზე და ვინ გახსნა შეტყობინება.

აპელანტი მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის მტკიცების ტვირთი შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ გამოყენებულ იქნა “Username” და პაროლი

(რომელიც მხოლოდ გადამხდელისთვის იყო ცნობილი) სისტემაში შესასვლელად და რომ სისტემაში შესვლის შემდეგ მოხდა შესაბამისი შეტყობინების გახსნა, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი აღნიშნულ "Username-სა" და პაროლს გადასცემს სხვა პირს, ეს არ ცვლის შემოსავლების სამსახურის მტკიცების ტვირთს. აღნიშნულ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელია პასუხისმგებელი "Username-ისა" და პაროლის სწორად გამოყენება-დაცვაზე. საქმის ზეპირ მოსმენაზე კომპანიის დირექტორმა განაცხადა კიდევ, რომ მან "Username" და პაროლი გადასცა თავის ბუღალტერს. რაც შეეხება გადამხდელის იმ პოზიციას, რომ განხორციელდა არასანქცირებული შესვლა და მოხდა დანაშაული, უცხო პირი უკანონოდ დაეუფლა გადამხდელის პირად ინფორმაციას, აღნიშნულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება გადამხდელს. უფრო კონკრეტულად კი, შესაბამისი უწყების მიერ უნდა დადგინდეს აღნიშნული, მოსარჩელის მიერ კი საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მითითებულ გარემოებებს.

აპელანტი არ ეთანხმება სასამართლოს იმ განმარტებას, რომ დარიცხვის ოდენობიდან და საწარმოს დაინტერესებულებიდან გამომდინარე შეუძლებელია მის მიერ აღნიშნული აქტები გახსნილიყო რამდენიმე წამის განმავლობაში, მათი თუნდაც ზოგადი გაცნობის, წაკითხვის ან ამობეჭდვის გარეშე. შემოსავლების სამსახური მიუთითებს, რომ შეტყობინების გახსნისას ფიქსირდება მხოლოდ შეტყობინების პირველად გახსნის დრო. მაგალითად, თუკი გადამხდელი ერთმანეთის მიყოლებით გახსნიდა საგადასახადო მოთხოვნას, დარიცხვის ბრძანებასა და შემოწმების აქტს, ხოლო შემდეგ ხელახლა დაუბრუნდებოდა, თუნდაც სიღრმისეულად გაცნობის მიზნით, უკვე გახსნილ შეტყობინებას, სისტემა ამ დროს (მეორედ გახსნის დროს) უკვე ვერ დააფიქსირებდა. აღნიშნულის გარდა, გადამხდელს შეეძლო გახსნისთანავე ჩამოეტვირთა შეტყობინებაზე მიბმული დოკუმენტი და შემდგომში პირად კომპიუტერში მოეხდინა აქტების წაკითხვა.

## **7. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

**7.1.** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, როდესაც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები (სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები), სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოიტანოს გადაწყვეტილება, რა დროსაც სსსკ-ის 386-ე მუხლის მიხედვით გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

**7.2.** განსახილველ დავაში ძირითად საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, გაეცნო თუ არა საწარმოს უფლებამოსილი პირი გადასახადის დარიცხვის შესახებ აქტებს და სახეზეა თუ არა დაუდგენელი პირის მიერ ელექტრონულ ბაზაში შეღწევის ფაქტი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დოკუმენტის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო. 44-ე მუხლის მე-9 ნაწილი ადგენს, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე.

უდავოა, რომ საგადასახადო შემოწმების აქტი, დარიცხვის ბრძანება და საგადასახადო მოთხოვნა გადასახადის გადამხდელს გაეგზავნა 2016 წლის 2-----ს, ელექტრონულად RS.GE-ის პორტალის მეშვეობით. შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის, Oracle-ის ინფორმაციით, აღნიშნულ აქტებს გადასახადის გადამხდელი ელექტრონულად გაეცნო 2016 წლის 28 ნოემბერს.

პროცედურის უფრო მეტი სიცხადისათვის, გადამხდელებთან ელექტრონულად ურთიერთობის მექანიზმი მუშაობს შემდეგნაირად:

1. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციასთან ერთად, შემოსავლების სამსახური გადამხდელს უხსნის პირად გვერდს, რომელზე შესვლაც შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური Username-ის და პაროლის შეყვანის შემთხვევაში. Username-ი და პაროლი გადაეცემა მხოლოდ გადასახადის გადამხდელს.

2. აღნიშნულ გვერდზე გადამხდელს ეგზავნება სხვადასხვა შეტყობინება.

შეტყობინების გახსნისთანავე პროგრამა აფიქსირებს შეტყობინების გახსნის დროს და შეტყობინებას ნიშნავს ნანახად შეტყობინების ნახვასთან ერთად; გადამხდელს შეუძლია კომპიუტერში ჩამოტვირთოს მიზნული დოკუმენტები. ამასთან, საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე ელექტრონული დოკუმენტი გახსნის შემდეგ ითვლება გაცნობილად.

3. პროგრამა აღარ აფიქსირებს შეტყობინების განმეორებით გახსნის დროს (ანუ, თუკი გადამხდელი გახსნის ჯერ ერთ შეტყობინებას, შემდეგ დახურავს მას, გახსნის მეორე შეტყობინებას და შემდეგ დაბრუნდება ისევ პირველ შეტყობინებაზე, პროგრამა დააფიქსირებს მხოლოდ შეტყობინების პირველად გახსნას და აღარ დაფიქსირდება შეტყობინების მეორედ გახსნის დრო).

4. პროგრამას შეუძლია დამატებით დააფიქსიროს გადამხდელის გვერდზე შესული IP მისამართი (ანუ ის IP მისამართი, რომლის გამოყენებითაც მოხდა Username-ის და შესაბამისი პაროლის შეყვანა).

5. აღნიშნული პრაქტიკა გამომდინარეობს იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ მხოლოდ გადამხდელისთვისაა ცნობილი Username-ი და პაროლი, რომლის გამოყენებითაცაა შესაძლებელი გადამხდელის გვერდზე შესვლა.

თბილისის საქალაქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ მომხმარებლის გვერდზე შესვლა შესაძლებელია ნებისმიერი კომპიუტერისა თუ ტელეფონის მეშვეობით, რომელთაც შესაძლებელია სხვადასხვა IP მისამართი გააჩნდეს. ამდენად, მომხმარებლის გვერდზე შესვლა არ არის დამოკიდებული IP მისამართზე, რომელიც სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენებისას სხვადასხვა შეიძლება იყოს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლის გვერდზე შესასვლელად საჭიროა შესაბამისი პაროლის შეყვანა, რომელიც მხოლოდ გადასახადის გადამხდელისთვის არის ცნობილი და სწორედ ამ უკანასკნელის ნებაზეა დამოკიდებული, გააცნობს თუ არა სხვა პირებს ამ პაროლს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი კანონიერად ვერ შეძლებს გადასახადის გადამხდელის გვერდზე შესვლას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებითვე, შემოსავლების სამსახურის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ის, თუ ვინ შეიყვანა ინდივიდუალური Username-ი და პაროლი პროგრამაში, ანუ ის, თუ შეტყობინების გახსნის მომენტში ვინ იჯდა კომპიუტერთან, რაც ბუნებრივია არღვევს შემოსავლების სამსახურისათვის კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა ფარგლებს და მტკიცების შეუსაბამო ტვირთს აკისრებს მას; გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული განმარტების გაზიარება გულისხმობს კანონმდებლის მიზნის უგულვებელყოფას, რომლის თანახმადაც, საგადასახადო ორგანოსთან ამგვარი ელექტრონული ურთიერთობა გამარტივდა, პაროლის ფლობასა და დაცულობაზე პასუხისმგებელია გადამხდელი და პორტალზე გზავნილის გახსნა ჩაითვალოს მის გაცნობად.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საგადასახადო ორგანოს მტკიცების ტვირთი ვერ გახდება ის, თუ ვინ გახსნა ელექტრონული პორტალი გადასახადების გადამხდელის მაგივრად, მისი ნების საწინააღმდეგოდ; აღნიშნული უნდა დადგინდეს მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პროცედურების გზით, რაც, განსახილველ შემთხვევაში, ვერ დადგინდა; გამოძიებამ განაცხადა, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ გადამხდელის გარდა ვინ შევიდა მის ელექტრონულ პორტალზე და ვინ გახსნა შემოსავლების სამსახურის მიერ გაგზავნილი აქტები. აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოს დირექტორის - კ---- ს-----ის გარდა პაროლის მცოდნე ერთადერთი პირი - ბუღალტერი, უარყოფს პორტალის გახსნის ფაქტს.

შემოსავლების სამსახურის მტკიცების ტვირთი შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ გამოყენებულ იქნა სპეციალური Username-ი და პაროლი (რომელიც მხოლოდ გადამხდელისთვის იყო ცნობილი) სისტემაში შესასვლელად და რომ სისტემაში შესვლის შემდგომ მოხდა შესაბამისი შეტყობინების გახსნა. თუკი გადამხდელი ამ Username-ს და პაროლს გადასცემს სხვა პირს, ეს არ ცვლის შემოსავლების სამსახურის მტკიცების ტვირთს. ამ შემთხვევაში ბუნებრივია გადასახადის გადამხდელია პასუხისმგებელი Username-ს და პაროლს სწორად გამოყენება/დაცვაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს შეტყობინებების გახსნის დროით ინტერვალზე და ასკვნის, რომ დარიცხვის ოდენობიდან და საწარმოს დაინტერესებიდან გამომდინარე შეუძლებელია მის მიერ აღნიშნული აქტები გახსნილიყო რამდენიმე წამის განმავლობაში, მათი თუნდაც ზოგადი გაცნობის, წაკითხვის ან ამობეჭდვის გარეშე.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, შეტყობინების გახსნისას ფიქსირდება მხოლოდ შეტყობინების პირველად გახსნის დრო. ნორმაში ცალსახად გამოხატული კანონმდებლის მიზნიდან გამომდინარე, შეტყობინების გახსნა ნიშნავს მისი ჩაბარებულად ჩათვლას და ამდენად, სასამართლოს მითითება დროის მცირე ინტერვალზე, უგულებელყოფს კანონმდებლის ნოვატორულ ნებას გახსნისთანავე შეტყობინების ჩაბარებულად მიჩნევის შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადამხდელი იძულებული არ არის ონლაინ გაეცნოს გზავნილს, რაც გახსნებს შორის დროის ინტერვალს გაზრდიდა, მას შეეძლო ჩამოეტვირთა გზავნილები და გაცნობოდა მათ ნებისმერ დროს; ამდენად, რამდენიმე გზავნილის შემთხვევაში მათ გახსნებს შორის დროის მცირე ინტერვალი მოსალოდნელია და არ გამორიცხავს აქტების გაცნობის შესაძლებლობას, მოცემულ შემთხვევაში კი მათი გაცნობის ფაქტს.

პირველი ინსტანციის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დამატებით მიუთითებს, რომ, რადგანაც გადასახადის გადამხდელი მოწვეული არ ყოფილა

შემოწმების აქტის პროექტზე მის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის განხილვაზე (რისი უფლებაც საგადასახადო ორგანოს კანონით აქვს), აღნიშნულმა გამოიწვია გადამხდელის შეცდომაში შეყვანა, ვინაიდან მას არ გააჩნდა ინფორმაცია შემოწმების დასრულების შესახებ და შესაბამისად, არ გააჩნდა საგადასახადო შემოწმების აქტის, დარიცხვის ბრძანებისა და საგადასახადო მოთხოვნის მიღების მოლოდინი, რაც გამოიწვევდა მის მიერ მომხმარებლის პორტალის უფრო დეტალურ კონტროლს. სააპელაციო პალატა მიუთითებს: შემოსავლების სამსახურისთვის იმის დავალდებულება, რომ გადასახადის გადამხდელს შეუქმნას აქტების მიღების მოლოდინი, რაც გადამხდელს აიძულებს მომხმარებლის პორტალის უფრო დეტალურ კონტროლს, უსაფუძვლოა, ვინაიდან მეწარმე სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია გამოიჩინოს სათანადო სამეწარმეო გულისხმიერება და ისე გასწოს თავისი საქმიანობა; ამ ვალდებულების სხვა პირზე გადაკისრება სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული და ასევე, კანონმდებლობა არ ავალდებულებდა საგადასახადო ორგანოს აუცილებლად მოეწვია სხდომაზე გადასახადის გადამხდელი.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგ მითითებას - მართალია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები განყენებულად არ წარმოადგენს უდავო მტკიცებულებებს, მაგრამ სასამართლოს მიერ მათი ერთობლივი გაანალიზების, გონივრული და ობიექტური განსჯის შედეგად, ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასთან მიმართებაში, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა შინაგან რწმენას უკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულების შეფასებას, რომ სასამართლო მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით; სხვა კონტექსტში კი შინაგანი რწმენა ნახსენებიც არ არის. ანუ, შინაგანი რწმენა გამოიყენება არსებული მტკიცებულების შესაფასებლად და არა სარჩელის საფუძვლიანობის დასადგენად. განსახილველ შემთხვევაში კი საქმეში თითქმის არ არსებობს მოსარჩელის სასარგებლო მტკიცებულება და ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის ამგვარი მოხმობა, არღვევს მის ნამდვილ არსს.

ამდენად, იქედან გამომდინარე, რომ კანონმდებლის მიზანია პორტალზე შეტყობინების გახსნისთანავე მისი ჩაბარებულად ჩათვლა, რომ ეს არის სრულიად ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომ გადამხდელი გაეცნო შეტყობინებას და გაუშვა მისი გასაჩივრების ვადა, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა, თუ ვინ გახსნა პორტალი გადამხდელის მაგივრად, რომ პორტალზე შესასვლელი პაროლი გააჩნდათ დირექტორსა და ბუღალტერს და რომ ბუღალტერს არ გაუხსნია იგი, სააპელაციო პალატა კანონიერად მიიჩნევს გასაჩივრებულ აქტს და თვლის, რომ არ არსებობს მისი გაუქმების არავითარი საფუძველი.

## 8. პროცესის ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ-----ის“ მიერ, პირველი ინსტანციის სასამართლოში, სარჩელზე გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, საიდანაც, დავის საგნის შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი 4 900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი, ხოლო 100 (ასი) ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, 22-ე, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

### **გადაწყვეტა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ბ-----ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს „ბ-----ს“ დაუბრუნდეს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით ზედმეტად გადახდილი 4 900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი, ხოლო 100 (ასი) ლარი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.
5. აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა), მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

## მოსამართლეები:

გიორგი გოგიაშვილი -

შოთა გეწაძე -

ილონა თოდუა -

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის  
მოსამართლე გიორგი გოგიაშვილი

21.03.2019

ქ. თბილისი

**განსხვავებული აზრი**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2019 წლის 21 მარტს, ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას (საქმეზე № 330310017001903404, საქმე №3ბ/366-18) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და შპს „ბ----ის“ სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ არ ვეთანხმები შემდეგ გარემოებათა გამო:

ზოგადი წესის თანახმად, იმისათვის რომ პირი რაიმე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ჩაითვალოს და მასზე გავრცელდეს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, როგორც მინიმუმ, აუცილებელია, რომ იგი ინფორმირებული იყოს ამის თაობაზე. სწორედ ამიტომ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამოქმედებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მისი ადრესატის მიერ გაცნობის შემდეგ.

სადავო საკითხის შეფასებისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებად მიგვაჩნია საქმეში წარმოდგენილი (ტომი პირველი ს.ფ. 13 ) მოპასუხის-სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 04. 11. 2016 წლის №----- მოსარჩელის სახელზე გაცემული წერილობითი დაპირება. სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 4 ნოემბრის №----- შეტყობინებით შპს „ბ-----ს“ გასაცნობად გაეგზავნა საწარმოს 2016 წლის 3 ნოემბრის საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტი. შეტყობინებით კომპანიას განემარტა, რომ უფლება ქონდა საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის მიღებიდან 10 დღის ვადაში აუდიტის დეპარტამენტში წარედგინა არგუმენტირებული პოზიცია საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განიხილებოდა საწარმოს ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით. დადგენილია, რომ შპს „ბ-----ის“ 2016 წლის 17 ნოემბრის წერილობითი პოზიცია, მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებისა, განხილულ იქნა აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №---), გადასახადის გადამხდელის მიწვევის გარეშე, რის შედეგადაც, შპს „ბ-----ის“ მიმართ 2016 წლის 21 ნოემბერს გამოცემულია სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო შემოწმების აქტი. საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გამოიდა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 21 ნოემბრის №----- ბრძანება და შპს „ბ-----ს“ წარედგინა 2016 წლის 21 ნოემბრის №----- საგადასახადო მოთხოვნა. შედეგად, კომპანიას გადასახდელად დაერიცხა 1 080 033,24 ლარი.

უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობით გაცემული დაპირება საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის საწარმოს ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით განხილვის შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შესრულებული არ ყოფილა. სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ წერილობითი დაპირების გარეშე, მართალია კანონმდებლობა არ ავალდებულებდა საგადასახადო ორგანოს, მისი წერილობითი პოზიცია გადამხდელის მონაწილეობით განეხილა, თუმცა საგადასახადო ორგანოს განმარტებისვე შედეგად, გადასახადის გადამხდელს გააჩნდა მოლოდინი განხილვაზე დაბარებისა, რასაც შესაძლებელია გამოეწვია მისი შეცდომაში შეყვანა, ვინაიდან არ გააჩნდა ინფორმაცია შემოწმების დასრულების შესახებ და შესაბამისად, არ გააჩნდა საგადასახადო შემოწმების აქტის, დარიცხვის ბრძანებისა და საგადასახადო მოთხოვნის მიღების მოლოდინი, რაც გამოიწვევდა მის მიერ მომხმარებლის პორტალის უფრო დეტალურ კონტროლს.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ერთის მხრივ, დასტურდება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომხმარებლის გვერდზე გახსნა, მაგრამ მოსარჩელე აპელირებს დაუდგენელი პირის მიერ მის ვებგვერდზე უკანონო შეღწევის თაობაზე, რის შესახებაც მან განცხადებით აცნობა საგადასახადო ორგანოსა და გამოძიების მოთხოვნით მიმართა რაიონის პროკურორს. სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 299-ე მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერზე, რომლის თანახმადაც, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მართალია, დასტურდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისად გაგზავნა, თუმცა მათი ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი სადავოა. საქმეში წარმოდგენილია შპს „გლობალკომის“ დირექტორის მიმართვა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით, (ტომი პირველი, ს.ფ. 267) რომლის მიხედვითაც „----- IP მისამართი მინიჭებული აქვს მარშრუტიზატორს, საიდანაც NAT ტექნოლოგიის გამოყენებით ინტერნეტ სერვისი მიეწოდებათ აბონენტებს. შეუძლებელია იმის დადგენა თუ კონკრეტულად რომელმა აბონენტმა რომელი ინტერნეტ სერვისით ისარგებლა, ვინაიდან დაახლოებით, 800 აბონენტი იყენებს ----- IP მისამართს“.

იმ გარემოების გათვალისწინებით რომ, განსახილველ შემთხვევაში სადავოდ რჩება და ცალსახად არ არის დადასტურებული შპს „ბ-----ის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საგადასახადო აქტების გაცნობის ფაქტი, მიგვაჩნია რომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრების ვადის გასვლის გამო შპს „ბ-----ის“ 2017 წლის 29 მარტის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 6 აპრილის №----- ბრძანების გაუქმებისა და საჩივრის განხილვის დავალების თაობაზე, კანონიერია და უნდა დარჩეს ძალაში.

მოსამართლე:

გიორგი გოგიაშვილი



სლსგ

საქართველოს დათმობიებული  
სახელმწიფო უწყისების



თბილისი 2020 Tbilisi

გიორგი გოგიაშვილი  
Giorgi Gogiashevili

STUDIA IURIDICA  
სამოსამართლო სამართალი

Judge-Made Law

მეორე გამოცემა  
Second edition



თბილისი 2020 Tbilisi

სველა უფლება დაცულია. ამ ნიშნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი ფოტო-ოპტიკური თუ სხვა) არანაირი ფორმით დასაშვავებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლების მქონე სუბიექტის ნებართვით გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

- © გიორგი გოგიაშვილი
- © გამომცემლობა მერიდიანი



დაბეჭდა:  
გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.  
☎ 239-15-22  
E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-25-747-6

**წინასიტყვაობა**  
მოსამართლო გიორგი გოგიაშვილის  
ნიშნზე: „სამოსამართლო სამართალი“  
„Judge-Made Law“

რამდენადაც საქართველო მისწრაფვის დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისა და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში უფრო სრულად ინტეგრირებისაკენ. გონიერი დამკვირვებლები, როგორცაა მსოფლიო იუსტიციის პროექტი, აცნობიერებენ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის შემდგომი გაძლიერება არსებითად მნიშვნელოვანია ამ აქლისმგვიის წარმატებისთვის.

უფრო დამოუკიდებელი, ეფექტიანი და მოუკრობელი სასამართლო სისტემის მშენებლობა ხორციელდება სულ მცირე ორ დონეზე: უშუალოდ სასამართლოებში და სასამართლოებსა და საქართველოს სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის, ასევე იმ ფილოსოფიის, განმარტადობისა და საქმისადმი დამოკიდებულების მეშვეობით, რასაც თითოეული მოსამართლე ინდივიდუალურად იჩენს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ქართველ მოსამართლეებს, რომლებიც მზად არიან, ახალი მეთოდიკით გადახედონ, თუ როგორ ასრულებენ იმის სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებებს, მოსამართლე გიორგი გოგიაშვილის მთავარნებელი ახალი ნიშნი, „Judge-Made Law“ (სამოსამართლო სამართალი) გვთავაზობს ლა დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სასამართლო დისკუსიის იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სასამართლო დისკუსიისა და პრეცედენტის სწორად გამოყენებამ წაახალისოს სასამართლო პრაქტიკა საქართველოში და მოიყვანოს იგი პარმონიაში წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასთან.

ნიშნი მოიცავს ცამეტ თავს, რომელთაგან უკანასკნელში მოცემულია ოთხი სხვადასხვა ქეისი და დეტალურად არის წარმოდგენილი სასამართლო საქმეების გადაწყვეტის ავტორისული მეთოდოლოგია. პირველი თავში წარმოდგენილია მცირე ისტორიული ექსკურსი, განსხვავებები ევროპულ და ანგლო-ამერიკულ სასამართლო სისტემებს შორის. მეორე თავი მოიცავს უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ უშკლავდებიან სასამართლოები და მოსამართლეები კანონის ბუნდოვნებას.

მესამე თავი იკვლევს რამდენიმე ფართო ინტერესის საკითხს, მათ შორის მოსამართლეების შეზღუდვებს საჯარო დისკუსიის დროს, როგორ უშკლავდებიან მოსამართლეები მათი გადაწყვეტილებების

„ერთადერთი გონიერი კაცი ჩემი თორი იყო, ყოველ მისულზე ზომას ზღაპარა მთლებდა, ეს მაშინ, როცა სწავლა დანარჩენი, ერთბაშად აღებული კმაყოფილი, ნარმოადგენდა, რომ ის ძველი ზომა ჯერ კიდევ უფროსად რეზ ნაშედეგს აკადგის.“

ბერნარდ შოუ

